№ 01-01/13 „02" მარტი 2020 წ

ბრძანება

შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში ახალ კორონავირუსთან დაკავშირებით პრევენციულ ღონისძიებათა განხორციელების შესახებ

"უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის, ,,საქართველოში ახალი კორონავირუსის შესაძლო გავრცელების აღკვეთის ღონისძიებებისა და ახალი კორონავირუსით გამოწვეული დაავადებების შემთხვევებზე ოპერატიული რეაგირების გეგმის დამტკიცების შესახებ" 2020 წლის 26 თებერვლის საქართველოს მთავრობის N377 განკარგულების, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 27 თებერვლის N296 ბრძანებით დამტკიცებული ,,ახალ კორონავირუსთან დაკავშირებით პრევენციულ ღონისძიებათა განხორციელების წესის", საზოგადოებრივ მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანის მომართვის, პროფესიული განათლების განვითარების სამსახურის უფროსის 2020 წლის 29 თებერვლის N 262866 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე

ვბრძანებ:

1. შევიდეს ცვლილება ,,2019–2020 სასწავლო წლისთვის სამაგისტრო, საბაკალავრო და მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამებზე სასწავლო პროცესის დარეგულირებისა და ვადების განსაზღვრის შესახებ" 2019 წლის 25 ოქტომბრის 01-01/62 ბრძანებით განსაზღვრული სასწავლო პროცესის ვადებში და 2020 წლის გაზაფხულის სემესტრი ნაცვლად 2020 წლის 09 მარტისა განახლდეს 2020 წლის 16 მარტიდან.
2. უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე 2020 წლის 09 მარტიდან 2020 წლის 16 მარტამდე დაგეგმილი შესასრულებელი საათების ანაზღაურება განხორციელდეს გაზაფხულის სემესტრის შუალედური გამოცდების პერიოდში (სასწავლო პროცესის მერვე კვირა).
3. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე მიმდინარე სასწავლო პროცესი გადაიდოს 2020 წლის 16 მარტამდე. დაგეგმილი შესასრულებელი საათების ანაზღაურება განხორციელდეს სასწავლო წლის დასრულებამდე.
4. დაევალოს ადმინისტრაციის ხელმძღვანელს (ბ.ნანეიშვილს), იხელმძღვანელოს ,,ახალ კორონავირუსთან დაკავშირებით პრევენციულ ღონისძიებათა განხორციელების წესით" და განახორციელოს ყველა საჭირო ღონისძიება.
5. ბრძანების შესრულებაზე კონტროლს განვახორციელებ პირადად.
6. დაევალოს კანცელარიის უფროსს (ე.ჭანია), ბრძანება გადასცეს ადმინისტრაციის ხელმძღვანელს (ბ.ნანეიშვილი), საზოგადოებრივ მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის

დეკანს (ქ.ლატარია), პროფესიული განათლების განვითარების სამსახურის უფროსს (მ. სამუშია) და დაინტერესებულ პირებს.

7. გრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

8. გრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გამოცემიდან ერთი თვის ვადაში, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროში (თბილისი, უზნაძის ქ. 52).

თეონა ხუფენია
რექტორი

თ. ხუფენია